

ჩვენი ეკონომიკის მინისტრში კი არ არის პრობლემა, ვინც ის დანიშნა მასშია

“საერთო გაზეთი” – 22 ოქტომბერი, 2010

ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში დოლარის კურსმა ჯერ მოიმატა, შემდეგ დაეცა – მოსახლეობას კი შერჩა გაძვირებული პროდუქცია. ეს გაძვირება კი მოხდა წლის ყველაზე მძიმე შემოდგომა-ზამთრის პირზე, როდესაც საკვები პროდუქტი – ისედაც ნაკლებია. სიდუხჭირეს სიდუხჭირე დაემატა. თუმცა, ეკონომისტები ხშირად ფიქრობენ – რომ ეს ნახტომი საჭიროა ლარის გასამყარებლად.

საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლადო პაპავას.

- ბატონო ლადო, ლარის კურსის ასეთი ნახტომით, რომელიც ბოლო პერიოდში განვითარდა, ვინ დარჩა მოგებული – ხალხი რომ დაზარალდა, ეს ფაქტია...

- ლარის კურსთან დაკავშირებით მოხდა ასეთი რამ, რომ ვიდრე ჩატარდებოდა ადგილობრივი არჩევნები ეროვნული ბანკი ცდილობდა, რომ ლარის გაცვლითი კურსი 1,8 არ გასცდენოდა დოლართან მიმართებაში. ობიექტურად ეს ასე შეიძლება მომხდარიყო, რადგანაც ის უკვე უფასურდებოდა, ის ხელგონურად მაშინ დაიჭირეს რეზერვების ხარჯზე. ეკონომიკურად მაშინ ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, პოლიტიკურად მიაღწიეს იმას, რომ ოპოზიციას არ მისცეს საბაზი ხელისუფლების კრიტიკისათვის. როგორც კი ეს არჩევნები ჩატარდა, უკვე 4 იენისს ნახტომისებურად დავარდა ლარის კურსი, რაც შეცდომა იყო, რადგანაც ამან პანიკა გამოიწვია და ფასებმა მოიმატა. რაც შეეხება შემდეგ მის გამყარებას, ისიც ობიექტური მიზეზით იყო გამოწვეული, იმიტომ, რომ ჩვენში დიდი ფინანსური დახმარება შემოდის და, ბუნებრივია, როდესაც დიდი რაოდენობით შემოდის ვალუტა სახელმწიფოში, ასეთ შემთხვევაში ხდება მისი გაუფასურება და ეროვნული ფულის გამყარება – ეს პროცესი ობიექტურია, როცა ლარი მყარდება – იმპორტი იაფი ჯდება, ამიტომ ამას შეეძლო გამოეწვია შემოტანილ პროდუქციაზე ფასების დაწვეა. მაგრამ თუ

იმპორტიორს შეუძლია პროდუქცია ძვირად გაყიდოს – ის რატომ გააიაფებს საქონელს? მას ხომ მოგება რჩება.

რაც შეეხება ფასების მომატებას, ეს გამოიწვია ზაფხულის ხანძრებმა რუსეთის ტერიტორიაზე, სადაც ხორბლის მოსავალი იყო დიდ ტერიტორიაზე. სწორედ ამიტომ მათ მიიღეს გადაწყვეტილება არ განეხორციელებინათ ექსპორტი, რამაც გამოიწვია მსოფლიო ბაზარზე ხორბლის მიწოდების შემცირება, ამან კი ყველა პროდუქციაზე გაზარდა ფასები. როდესაც პური სახელმწიფოში ძვირდება, ეს ჯაჭვური რეაქციით იწვევს ყველა პროდუქტზე ფასის მომატებას – ასეც მოხდა.

- პრეზიდენტმა ხომ დაავალა პრემიერ-მინისტრს და სოფლის მეურნეობის მინისტრს ახალი ბაზრის მოძიება. რატომ ვერ მოხდა იაფი ხორბლის შემოტანა?

- ფაქტობრივად, რუსეთის ექსპორტის შეჩერებამ ჩვენზე უშუალოდ არ იმოქმედა იმდენად, რამდენადაც ჩვენ მათგან ხორბალს არც ვყიდულობდით, ახალი ბაზრების მოძიება კი არ მოხდა, არამედ ისევ დამატებითი ხორბალი ვიყიდეთ უკრაინიდან, ისედაც მათგან ვყიდულობდით, უბრალოდ, ამჯერად 50 პროცენტის განპირობებით. ბუნებრივია, ამიტომ პური გაძვირდა.

- თუ ლარი გამყარდება, ამან ხომ აღარ უნდა გამოიწვიოს გაძვირება – ჩვენთან პირიქით რატომ ხდება?

- მართალია, ლარის გამყარებამ გაძვირება არ უნდა გამოიწვიოს, მაგრამ ჩვენ ხომ არ გაგვაჩნია ანტიმონოპოლიური სამსახური, ბაზარზე მოქმედი მონოპოლისტები კი საკუთარ ფასებს აწესებენ და აქედან გამომდინარე ასეთ ვითარებაში რაიმე სანუგეშოს თქმა ძალიან ძნელია.

- ის დახმარებები, რომელიც საქართველომ აგვისტოს ომის შედეგად მიიღო, 2011 წლის მერე აღარ გვექნება, მათი ნაწილი არის ფაქტობრივად სესხი, რომელსაც გადაიხდის საგარეო ვალის სახით სახელმწიფო ანუ ხალხი – შევძლებთ კი მის გადახდას?

- ცხადია ეს ვალი წარმოადგენს საგარეო ვალს, რომელსაც სახელმწიფო გადაიხდის ბიუჯეტიდან, ბიუჯეტის შემოსვლის წყარო კი გახლავთ ჩვენი გადასახადები ანუ ხალხი, ხალხმა საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს ეს ვალი.

- კი, მაგრამ ხალხს რატომ არ ჰკითხეს ადრე, შეეძლოთ თუ არა ვალის აღება და გადახდა, ისედაც მილიონზე მეტი სიღარიბის ზღვარს მიღწეულია, შეძლებს კი ასეთი საზოგადოება გაზრდილი ვალების გადახდას?

- ფაქტობრივად, ხალხს ჰკითხეს, რატომაც არა, არჩევნებზე რომ მივიდნენ და მისცეს ამ ხელისუფლებას ხმა – ეს გამოკითხვა არ იყო? ხალხმა ხომ მისცა

ნმა „ნაციონალურ მოძრაობას,“ ესე იგი მათ მოსწონთ ეს კურსი და ალბათ, ამ ვალებსაც გადაიხდიან. პოლიტიკაში გამოკითხვის ყველაზე კარგი ფორმა არის არჩევნები და ჩვენმა ხალხმა ეს არჩევანი გააკეთა! თბილისელთა დიდი ნაწილი არჩევნებზე არ მივიდა – ამიტომაც, ვინც მივიდა, ანუ ნაციონალების მომხრეები – მათ არჩევანი გააკეთეს – მთავრობას გამოუცხადეს ნდობა და შედეგები დღეს სახეზეა. შემდეგი გამოკითხვა 2012 წელს გვექნება, შემდეგ საპრეზიდენტო 2013 წელს, ასე რომ, გამოკითხვები ტარდება, ნურავინ იტყვის, რომ მათ არ შეეკითხნენ!

- ეკონომიკის სამინისტროს დაემატა ახალი სახელი – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ხომ არ შეითავსა მან რაიმე ახალი ფუნქცია? მინისტრიც ახალია...

- ამ სამინისტროს პრივატიზაციის გარდა არანაირი ფუნქცია არ გააჩნია, ამიტომ რა სახელს დაარქმევენ მნიშვნელობა არა აქვს. არც იმას აქვს მნიშვნელობა, მინისტრს ექნება თუ არა ეკონომიკური განათლება მითუმეტეს, რომ დღევანდელ მოქმედ მინისტრს საერთოდ არ აქვს არანაირი უმაღლესი განათლება. ამასაც ჩემი აზრით, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს: უფრო ადრე პერიოდის მინისტრს ეკატერინე შარაშიძეს ჰარვარდის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული უკეთესი იყო რაიმეთი ვიდრე ქალბატონი ვერონიკა ქობალიაა? რაიმე შეძლო და გააკეთა? ამ სამინისტროს ფუნქცია არა აქვს და ვინ რა უნდა გააკეთოს. ჩვენში რომელიმე მინისტრში კი არ არის პრობლემა – არამედ ვინც ამ მინისტრებს ნიშნავს მასშია პრობლემა!!!

- ევრო ხომ არ გახდება ჩვენში უფრო მყარი ვალუტა, რომლის მსყიდველობითი ფუნქცია უფრო გაიზრდება?

- არა მგონია, რადგანაც საგარეო ვაჭრობის 75 % მოდის მაინც დოლარზე, ხოლო 25 % ევროზე, ამიტომ დოლარის ფუნქცია საქართველოში კვლავ შეუცვლელია ჯერჯერობით.

- 2011 წელზე რას იტყვით, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი კვლავ „სიურპრიზებს“ ხომ არ გვიმზადებს?

- ეს საკითხი ჯერ კიდევ გაურკვეველია, რადგანაც ამ კრიზისის დასრულება-არდასრულების თაობაზე ყველა ქვეყანას სხვადასხვა აზრი გააჩნია. საქართველოში რაც ხდება, ამას ყველა კარგად ვხედავთ, ანუ კარგი არაფერია მოსალოდნელი, რაიმეს შეცვლის სიმპტომები არ ჩანს რას უნდა ველოდოთ? – არაფერ კარგს. იმედია, ომი მაინც არ იქნება და ეს დამატებით სირთულეებს არ შეგვიქმნის. მსოფლიო კრიზისი ჩვენს ქვეყანაში შეეხო და ეს დღეს სახეზეა, ეს

რეალობაა. 2011 წელს არანაირი განსაკუთრებულ ცვლილებას არ უნდა ველოდოთ.

ეთერ კასრელიშვილი